



## საპრემიერო სტიპენდია – თსუ სტუდენტებისთვის



საქართველოს პრემიერმა თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მზად გასასურდა სახელობის სტიპენდია დააწესა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა გიორგი მარგველაშვილმა 22 მაისს თსუ-ში ვიზიტის დროს ისაუბრა. პრემიერი თსუ რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიური წრეების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების ჩართულობას. აქვე ითქვა, რომ საპრემიერო სტიპენდია საქართველოს პირველი პრემიერის, გიორგი მარგველაშვილის უკვდავსაყოფად წესდება და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტს გადაეცემა.

ამავე დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პრემიერის ადმინისტრაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს საქართველოს პრემიერმა გიორგი მარგველაშვილმა და თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მოაწერეს ხელი. მემორანდუმის მიზანია ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება უმაღლესი განათლე-

ბის ხარისხის ამაღლების, ახალი თაობის სრულფასოვანი აღზრდის ხელშეწყობისა და მათი წახალისების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრივი ღირებულებების განმტკიცების კენ. მემორანდუმის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პრემიერის ადმინისტრაცია ერთობლივად დაეხმარება განხორციელებულ პროგრამებს, მოკლევადიან საგანმანათლებლო პროექტებს და სხვა.

თსუ მენეჯერი უსხოვლ პარტნიორებთან ერთად ბოლნისის რაიონის ნიადაგებს და წყლებს იკვლევენ



თსუ მენეჯერებმა, გერმანულ კოლეგებთან ერთად ბოლნისის სარწყავი სისტემა შესწავლეს და საკმაოდ შემამოთხებელ დასკვნებამდე მივიდნენ.

გვ. 2

## უნივერსიტეტელი ბლოგერების წარმატება

ბლოგერების კონკურსში „ჩემი ლიდერი ქალი“ 10 გამარჯვებულადან 4 სწორედ უნივერსიტეტის სტუდენტია. კონკურსის მიზანია იმ ავტორების აღმოჩენა იყო, რომლებიც თავის მხრივ, საინტერესო, აქტიურ ქალებს იპოვნიდნენ და მათზე მოუყვებოდნენ საზოგადოებას. თსუ-ს გამარჯვებული სტუდენტები თავადაც ასეთი – საინტერესო და აქტიური ადამიანები არიან.

გვ. 3

## „თსუ“ – სამოყვარულო რაბბის გუნდი



სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოყვარულო რაბბის გუნდს „თსუ“ სულ რამდენიმე თვის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, მისი მწვერთელი დარწმუნებულია, რომ „თსუ“ სერიოზულ გუნდად ჩამოყალიბდება. ამის საფუძველს მას მაგნებს შორის გაუმჯობესებული შედეგები აძლევს.


გვ. 4

## ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა თსუ-ში

ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა თსუ-ში – „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“. მინიჭებული მაგისტრის ხარისხით კურსდამთავრებულს საშუალება მიეცემათ მუშაობა დაიწყონ როგორც საქართველოსა და გერმანიის, ისე ევროპის სხვადასხვა საწარმოებში და მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო კორპორაციებში.

გვ. 4

## თსუ პროფესორის მონობრაფიის საერთაშორისო აღიარება



ცნობილი საერთაშორისო გამოცემლობა „სპრინგერ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსტაფა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის პროფესორის გია სირბილაძის მონოგრაფია – „ექსტრემალური ფუზი დინამიური სისტემები. თეორია და გამოყენება“ გამოსცა (Gia Sirbiladze, Extremal Fuzzy Dynamic Systems. Theory and Applications).  
წიგნი ეფუძნება ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ საერთაშორისო პუბლიკაციებს ფუნდამენტური ინფორმაციის დარგში, კერძოდ, ექსპერტული ცოდნის ნაკადების მოდელირებაში. მონოგრაფიაში წარმოდგენილია ახალი მიდგომა ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე რთული და ექსტრემალური ევოლუციური პროცესებისა და საქსპერტო ცოდნის ნაკადების შესასწავ-

ლად. გამოცემას თან ერთვის პროგრამული პროდუქტი – გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ინტელექტუალური სისტემა.  
წიგნი განკუთვნილია არამკაფიო სტატიკის და არამკაფიო პროცესების მოდელირების დარგში მომუშავე მეცნიერებისა და მეცნიერებისათვის, რომლებიც სწავლობენ ანომალურ და ექსტრემალურ პროცესების დინამიკას ბუნებასა და საზოგადოებაში. წიგნი დაინტერესებს შესაბამისი სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებსაც.  
წიგნის შექმნა შესაძლებელია amazon.com-სა და სხვადასხვა ინტერნეტ-მაღაზია საერთაშორისო გამოცემლობებში. გამოცემიდან დღემდე წიგნის მომხმარებელთა რიცხვმა 2000-ს გადააჭარბა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რაც კვლევითი თემატიკის აქტუალობასა და მოცემული შედეგების მნიშვნელობაზე მიანიშნებს.

## „საქართველოს ევროინტეგრაცია და მე“ – გამარჯვებული სტუდენტები თსუ-დან



„ევროინტეგრაცია ნიშნავს, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და, ამავდროულად, არ დაკარგო ეროვნული ღირებულებები“ – ასე ფიქრობენ თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი დიმიტრი თანასწორი და თსუ-ს ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტი ხალიდ მურადოვი, რომლებიც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები არიან.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ესეების კონკურსს საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული, „4+1“ პროგრამაში მონაწილე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის დაახლოებით ერთი თვის წინ გამოაცხადა. კონკურსის თემაზე – „საქართველოს ევროინტეგრაცია და მე“ სტუდენტების უნდა მოემზადებინათ ესე და აუ-სახათ, თუ რას ნიშნავს მათთვის ევროინტეგრაცია, როგორ ესმით საქართველოს ევროპული არჩევანი და რას გულისხმობს ევროინტეგრაციის პროცესი.

გამარჯვებული გვ. 3 გვ.

# სიახლეები

იაპონური კულტურის საღამო თსუ-ში



19 ივნისს თსუ იაპონისტიკის მიმართულების ორგანიზებით გამართულ იაპონური კულტურის საღამომე თსუ საქართველოს დარბაზში მყოფებით სავსე იყო. ღონისძიებას საქართველოში იაპონიის საელჩოს კულტურის აგაშე ნორიიკო ნაკაჯიმა ესწრებოდა.

საღამოს პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. თსუ იაპონისტიკის მიმართულების სტუდენტების მონაწილეობით შესრულდა ცნობილი იაპონელი მწერლის ნაცემე სოსეკის ნოველა "მეშიდე ღამე", სიმღერები იაპონური ანიმეებიდან. გაიმართა ორიგამის და კალიგრაფიის ვორქშოპები.

## „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“

16-18 ივნისს თსუ-ში საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ გაიხსნა. კონფერენცია თსუ-ის, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს, ევროკავშირის, ასოციაცია Georgia Proeuropa-ს, საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპაჯა, ევროკავშირის უმაღლესი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში კატერინა ბოლონიეზე, საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესი საქართველოში რენო სალენსი, შვეიცარიის კონფედერაციის უმაღლესი საქართველოში გიუნტერ ბეხლერი, საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლები, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები დაესწრნენ. ღონისძიების თანაორგანიზატორები თსუ პროფესორი ნანა გუნცაძე და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ მურაბიშვილი გახლდნენ.

ინტერდისციპლინარული კონფერენციის „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ მიზანი იმ უნივერსალური ფასეულობების გავრცელების ხელშეწყობა გახლდათ, რომელთა მაგარებელიც ევროპაა და ამ ღირებულებების ეროვნული იდენტობის კონტექსტში განხილვა. მოხსენებების და მოხსენებებთან შემაჯავრობელი დებატების დროს განხილული თემები ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოების ინფორმირებას, მის მოდერნიზებას და საშუალებას მისცემს ქართულ საზოგადოებას, გაცნობიერებულად შეაჩეროს არჩევანი ევროპაზე.

## პროფესორ გერი სიმფსონის ვიზიტი თსუ-ში



17-19 ივნისს თსუ-ის მელბურნის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კენეტ ბეილის კათედრის ხელმძღვანელი და ლონდონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სკოლის (LSE) საერთაშორისო სამართლის მოწვეული პროფესორი გერი სიმფსონი ეწვია. სტუმარმა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორისა და სტუდენტებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო წრეების წარმომადგენლებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია საერთაშორისო სამართალში. ლექციამ მონაწილეთა დიდი ინტერესი დაიმსახურა, რაც აისახა აქტიურ დისკუსიაში განხილული საკითხების გარშემო.

# კონფერენცია „საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა“ 14 ივნისს გაიმართა კახეთში (ლოპოტა). ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპაჯა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თეიმურაზ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის საფაკულტეტო კონფერენციის გამარჯვებული სამივე საფეხურის 19 სტუდენტი დაესწრნენ.

კონფერენციის მონაწილეებისთვის თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპაჯამ მოხსენება წაიკითხა, რომელშიც განხილული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეტაპები და პერსპექტივა, მათ შორის, ევროკავშირთან ასოციირების ხელმოწერის შემდგომ.

ღონისძიებაზე საფაკულტეტო კონფერენციაზე გამარჯვებულმა სტუდენტებმა საკუთარი ნაშრომების პრეზენტაცია მოაწვეს. თსუ რექტორმა გამარჯვებულ სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცა.



# თსუ მეცნიერები უსხოვლ პარტნიორებთან ერთად ბოლნისის რაიონის ნიადაგებს და წყლებს იკვლევენ

ბოლნისის რაიონი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია და მევენახეობისა და მეპოსტნეობის რაიონად ითვლება. რბილი პავისა და ნაყოფიერი ნიადაგების (მდელოს ყავისფერი, რუხი ყავისფერი) წყალბოთი მოსახლეობას წელიწადში სამი მოსავალი მოჰყავს. რაიონში ფუნქციონირებს კარგად განვითარებული სარწყავი სისტემა, რომელიც სათავს მდ. მაშავერადან – სოფ. კიანეთთან იღებს. სწორედ ამ სარწყავი წყლის ნიადაგზე გავლენა მისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა, გერმანულ კოლეგებთან ერთად და საკმაოდ შემაჯავრობებელ დასკვნებამდე მივიდნენ.

„ფოლკსვაგენის ფონდის“ დაფინანსებით გიგანტური უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები ერთობლივად მუშაობდნენ სამეცნიერო პროექტზე: „მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომპლექსის გავლენა ბოლნისის რაიონის ნიადაგებზე და წყლებზე“.

კვლევითი სამუშაოები ორ ეტაპად მიმდინარეობდა – 2000-2003 და 2009-2012 წლებში. პროექტის კოორდინატორი საქართველოში თსუ მუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ბესიკ კალანდიაძე გახლდათ. სამეცნიერო ჯგუფში შედიოდნენ ასევე პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი პეტერ ფელიქს-პენინგსენი, პროფესორები: სილია შნელი, დიდრიხ შტეფენსი, ლოქვორი თომას პანაუერი გიგანტური უნივერსიტეტიდან. პროფესორი თენგიზ ურუშაძე და მაგისტრი ლევან ნავროზაშვილი თსუ-დან.

„რეგიონში არსებული მრავალი საწარმოებიდან ერთ-ერთი უმსხვილესია სააქციო საზოგადოება „მადნეული“. ეს სამთო-გამამდიდრებელი კომპლექსი სპილენძ-კოლჩედიანი და ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს ბაზაზე ფუნქციონირებს. ცნობილია, რომ ასეთი ტიპის საწარმოები გარკვეულ საფრთხეს უქმნიან როგორც მიწაზე-

რეგიონის ეკოსისტემებს. აღნიშნული კომპლექსის სიმძლავრეა მილიონი ტონა სპილენძის და 250 ათასი ტონა ბარიტის მაღალი წელიწადში (დღეისათვის საწარმო 2 მლნ. ტონა მაღანის მოპოვებაზეა გაშვებული). მაღანის მოპოვება წარმოებს დია, კარიერული წესით და ფლოტაციური გეგნოლოგიით გადამუშავდება. აღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე ძირითადი გექნოგენური (აღამიანის სასოფლო სამეურნეო საქმიანობით განპირობებული) დაგვირგვინი მოდის რეგიონის პირობებში და აქედან გამომდინარე სარწყავი სისტემაზე. მდინარეები კაზრეთულა და მაშავერა განიცდიან ძლიერ გექნოგენურ დაგვირგვინს სპილენძისა და კადმიუმის სახით. ამ ელემენტების ჯამური შემცველობა მდგრად დასახლებულ კონცენტრაციაზე რამოდენიმეჯერ მეტია. ასევე მაღალია თუთიისა და კადმიუმის ჯამური ფორმებიც“ – აღნიშნავს ბესიკ კალანდიაძე.

მისი განმარტებით, რეგიონში არსებული კარგად განვითარებული სარწყავი სისტემა, სათავს მდ. მაშავერადან - მდ. კაზრეთულას შესართავის ქვემოთ იღებს. პირობების დაბინძურებას, როგორც პირდაპირი შედეგი მოჰყვება ნიადაგების დაბინძურება მძიმე მეტალებით.

როგორც კვლევის შედეგებით გაირკვა, „სასოფლო სამეურნეო სავარგულების მორწყვისას ყოველ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ 50 ლ წყალი იხარჯება, ყოველწლიურად კი – ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მორწყვისას მასში სულ ცოტა 12.4 კგ სპილენძი, 3.6 კგ თუთია და 17 გრ კადმიუმი ხვდება. 1998 წლის ნიადაგის დაცვის გერმანული წესდების მიხედვით ეს მონაცემები საგრძნობლად სცილდება ნორმებს. კერძოდ, სპილენძი 36-ჯერ, თუთია და კადმიუმი კი 3-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ნიადაგის ყოველი მორწყვის შემდეგ მძიმე მეტალების ნარჩენები ნიადაგის შედარებით რჩება, ხოლო შემდგომი დამუშავების შედეგად ნიადაგში ხვდება“.

კვლევები სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებზე ჩატარდა. იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით და რა რაოდენობით ხდებოდა ნიადაგების მორწყვა, სპილენძის შემცველობის მხრივ განსხვავებული მაჩვენებლები გამოვლინდა.

სპილენძის მაქსიმუმი ნათესებში კილოგრამ ნიადაგში 450 მგ-ს შეადგენს, ბოსტნეულის ბაღებში 1100 მგ-ს და ვენახებში ეს მაჩვენებელი ყოველ კილოგრამზე 3000 მგ-ს აღწევს. პროექტის მონაწილეთა მიერ შესწავლილი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ძირითადად ზემოთ აღნიშნული მდინარეების ხეობებში, მნიშვნელოვნად დაბინძურებული აღმოჩნდა მძიმე მეტალებით, რაც კულტურული მცენარეების დაბინძურებას გულისხმობს.

კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერთა დასკვნა ასეთია: „ძლიერ დაბინძურებული ნიადაგების ზედა ფენებში მიმდინარე სორბციული (შავარი სხეულის ან სითხის მიერ ნივთიერების შთანთქმა გარემოდან) პროცესების გამო სპილენძისა და თუთიის განაწილებას შედარებულ-აკუმულაციური ხასიათი აქვს. ამ ლითონების შემცველობა ყველაზე მაღალია ნიადაგის ჰუმუსიან (ნეშომპალიან) ფენაში, რომელიც ბოლნისის რაიონშია. შედარებულ აკუმულაციას ძალზე ხშირად თან სდევს ნიადაგის ზედაპირზე წყალგაუმტარი აპკის წარმოქმნა, რაც შეემატება პროცესის დაწყებაზე მიუთითებს. ეს პროცესი მნიშვნელოვნად აუარესებს ნიადაგის აგროფიზიკურ მახასიათებლებს: მეკვთრად ზრდის ნიადაგის სვედრით წონას, ეცემა ფორიანობა, წყალგამტარობის პროცესი, პროდუქტიული გენის დიაპაზონი, რაც ქმნის უკიდურესად არახელსაყრელ აგრობიოლოგიურ და აგროეკოლოგიურ პირობებს. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების მკვეთრ დაქვეითებას, რაც ეკოლოგიური კატასტროფის გოლფასია“.



